# ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№12, 29 დეკემბერი, პარასკევი, 2017 წელი

## გილოცავთ ახალ 2018 წელს!



# საბავშვო ლექსები



მზეგული ცყეშელაშვილი

## ციცქნა ბიჭი

სამაჩაბლოს ლალი ცის ქვეშ
სოფელია, ძმაო, ერთი,
იქ ვისწავლე ანი, ბანი,
ჰო, იქაა ჩემი ფესვი.
ომის შემდეგ არ მინახავს,
ვერ ვივიწყებ, ვერა...
მალე ვნახავ, სიზმრად მაინც,
შემიძლია ფრენა!
ისევ „ციცქნას" მეძახიან,
ათს გადავაბიჯე,
ნეტავ, ფრონევ, შენს ნაპირას,
გარუჯული ვიწვე!
რვა აგვისტო... სროლა, შიში,
დაზნეული ხალხი,
მაინც არ დამავიწყდება,
ჩემი კოხტა სახლი!
პატარა ვარ, წყენა დარდი
და ნაღველი – ვიცი,
ვენაცვალე, სამაჩაბლოვ,
შენს აპრილს და ივნისს!

## სიტყვა მივეცი

– სად არის, ბიჭო ასანთი? –
ბრაზობს ბებია ასმათი.
– თივას თუ ისევ გადაწვავ, –
იცოდე, ჯოხით გაგლახავ!
– რას მეუბნები, ბებია?
სიტყვა მივეცი პაპაჩემს,
უპირო კაცი როდი ვარ, –
ხანძარს არასდროს გავაჩენ!
შარშან ვიყავი პატარა,
ახლა ვისწავლე ჭკუაო,
თუ თივას ცეცხლს წავუკიდებ, –
მოვა და შემჭამს ბუაო!

## მეგობრობენ

მეგობრობენ ორნი –
ზაზუნა და ციყვი,
შეაგროვეს ერთად
კაკალი და ნიყვი.
უყვართ შრომა-გარჯა,
დამიხედეთ ამათ!
მეგობრობა მათი
გაგრძელდება, ალბათ.

## სათვალე

ოთხი წლის ლუკამ,
შემთხვევით,
ბებოს სათვალე გატეხა...
ბებო გაბრაზდა ძალიან,
ერთი ვიშ-ვიში ატეხა:
რა მეშველება, რაღა ვქნა,
ვერ დავინახავ ძაფს და ნემსს,
წნევა ამიწევს, ნამდვილად,
მანერვიულებთ რადგან ბევრს!
ექვსი წლის ლაშა ამშვიდებს:
ნერვიულობა რად გინდა,
ჩემს მზის სათვალეს
გათხოვებ, –
გუშინ მიყიდა მამიდამ.

## კეთილი და-ძმა

ქარი წივის და სისინებს,
მგონია, შიათ ბეღურებს,
ცოტნე ნამცეცებს აგროვებს,
მარი ღიმილით შეჰყურებს.
მერე... გააღეს ფანჯარა,
(ჩაკეტილი იყო საკეტით),
არ დაენანათ, ბეღურებს
გადაუყარეს საკენკი.

## მიცუნცულებს მელა

ზამთარია, მელა
მიცუნცულებს გზაზე,
უკუნეთი ღამე...
ფიქრობს: „გზას არ ავცდე."
ჩაიარა შუკა,
ღელეც უკან დარჩა,
აუჩქარა ნაბიჯს,
საქათმესთან გაჩნდა.
საცოდავმა, ქათამს
კბილი ვეღარ გაჰკრა...
ვერ ივიწყებს სახრეს,
პაპამ რომ გადაჰკრა!..



## ნაცარა

ბოსტანს ეწვია კურდღელი,
ყურდაცქვეტილი ნაცარა,
დროზე გაუგო მურიამ,
ქურდობა აღარ აცალა.
ბოლოს, დაფიქრდა კურდღელი:
„სხვის საკარგულში რა მინდა!
ახია ჩემზე, წუხელის
რაც დამესიზმრა, – ამიხდა!"

## ბუტიები

დედა სახლში შემოვიდა,
გიომ ჰკითხა: „სად იყავი?"
– ფორთოხლები მოგიტანეთ
და თანაბრად გაიყავით.
გიომ დათვლა დაამთავრა:
– ზუსტად არის ცხრამეტიო,
ცხრა ჩემია, ცხრაც – ლალიკოს,
ერთიც დარჩა ზედმეტიო.
დედიკო ამბობს: „პატარას
რადგანაც მეტი ერგება, –
ის ერთიც ლალის მიეცი,
არ გაიბუტოს, ეგება."
ბიჭმა შეიკრა წარბები,
ცრემლით აევსო თვალია, –
„მე ვიჩაგრები ყოველთვის,
მოგებული კი ლალია."

## ბადიში

ავად გამხდარა ბებია,
დარდობს პატარა ბადიში,
საბანი ამოუკეცა
და გაუსწორა ბალიში.
– წყნარად იწექი, ბებიკო,
დროზე მიიღე წამლები,
რომ დამიძახებ, მოვირბენ,
მაშინვე შენთან გავჩნდები.
თუ ყველა წამალს არ დალევ, –
იცოდე, ბუა წაგიყვანს
და ჩურჩხელები ზამთრისთვის
ნეტავ, ვინ უნდა ამიბას?!

## ბუხრის პირას

მიილია შემოდგომა,
ქარი დაჰქრის სისინით,
ბუხრის პირას ვიკრიბებით,
ვმღერით, ვცეკვავთ, ვიცინით.
ბაბუ ზღაპარს მოგვიყვება,
გააჩენებს ყალიონს
და, ზღაპრებით მოხიბლულნი,
ვეგებებით ალიონს!

# დღიურის ფურცელი

ამასწინათ თვალი მოვკარი დიდი ხნის წინ, თაროზე შემოდებულ, უკვე ყდამომძვრალ დღიურს, – ჩემი სტუდენტობის მემატიანეს, – ოცნებებითა და სურვილებით, თავგადასავლებით, სანთლის შუქზე, ტერენტი გრანელისა და სერგეი ესენინის ლექსებით გათენებული ღამეებითა და კვირტებდაფეთქილი, თბილისური ალიონის სურნელებით სავსეს...

ასაკი მანებივრებდა სილაღითა და ვარდისფერი მომავლის რწმენით...

დროის ქარბორბალისაგან გახვეტილი ათეული წლები გონების თვალით რამდენჯერმე უკან დავაბრუნე, – იმ დროიდან დღემდე, გულწრფელად ბედნიერი საქართველო ვერ გავიხსენე...

ვინძლო, ასრულდეს ეს ნატვრა!.. მაშინ, მსგავსი სევდით სავსე ფურცლებს დღიურიდან და გონებიდან სამუდამოდ ამოვშლი...

## სხვა საქართველო სად არის?!

უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებულს, დიდი ტკივილით და განწბილებით ამევსო სული!

დავაბიჯებ თბილისის ქუჩებში და ჩვენი ცხოვრების წესთან შეგუება მიჭირს... გერმანიის ნერვების მომშლელი წესრიგის ფონზე, აქაურობა, კიდევ უფრო, აუტანელი მეჩვენება... ჯერ იყო და, გერმანიის აეროპორტშივე შევესწარი ერთ ქართულ „კურიოზს" და, ნებით თუ უნებლიედ, მონაწილეც გავხდი ერთი პატარა ქართული სირცხვილის, რომელიც ლევან სანიკიძის კრებულის ქართული სირცხვილებისგან მხოლოდ სისასტიკით განსხვავდებოდა.

კიოლნი-თბილისის რეისი, ცხადია, საქართველოში მიმავალი ქართველებით იყო სავსე. უცხოელი, მხოლოდ თითო-ოროლა შევნიშნე. ქართველ მგზავრებს ვეებერთელა ბარგით გამოარჩევ. მათთან შედარებით, ჩემი ორი მოზრდილი ჩანთა პატარა მეჩვენა... გერმანელი მებაჟე მთელი ხმით გაჰყვირის დასაშვები წონის ნორმას, რადგან დიდი ასოებით გერმანულ-ინგლისურად გამოკრულს ქართველები არ კითხულობენ!..

როგორც იქნა, რამდენიმე საბაჟო პუნქტი გავიარეთ. ზოგს ბარგის ნაწილი დაატოვებინეს, ზოგმა სხვადასხვა ხერხით შეძლო გატანა. მთავარია, მებაჟეები გააცურონ ქართველებმა. იმაზე არავინ ფიქრობს, ზედმეტი წონის გამო, აეროხომალდმა, საქართველომდე შეიძლება, ვერ ჩააღწიოს და რომელიმე „შეუფერებელ" ადგილს დაჭრილი ფრინველივით მიენარცხოს.

მძიმედ მიიზლაზნება ბოხჩებაკიდებული, სიმძიმისგან წელში მოხრილი ქართველების კოლონა. ასე ზლაზვნით და ქოშინით მივაღწიეთ ბოლო გასასვლელამდე და გადასკდომამდე გატენილი ჩანთები ძირს დავდეთ. გერმანელმა მორიგემ რაციით სიგნალი მიიღო და მინის კარიც ავტომატურად გაიხსნა. აი, მაშინ მოხდა განსაკუთრებული რამ: მგზავრებმა უსწრაფესად წამოიკიდეს ბარგი და ისე გაძუგძუდნენ ღია კარისკენ, ტყვიასავით მძიმე ჩანთები, თითქოს ბამბად ქცეულიყვნენ. იძულებული გავხდი, მეც სირბილით წავსულიყავი, რათა ჩემს უკან მდგომთ არ წავექციე. რეისის უცხოელი მგზავრები ქართველების მარათონში მონაწილეობას არ იღებდნენ. გვერდზე გამდგარნი, ვერ გარკვეულიყვნენ, რატომ ან რა ძალით გარბოდა გალიიდან გამოქცეული ნადირივით, ეს ბარგაკიდებული, სიმძიმით წელში გადრეკილი ხალხი?!

– რატომ გარბიხართ, თვითმფრინავი უთქვენოდ არ წავა, წესრიგი დაიცავით! – ხმლის ჩახაჩუხის მსგავსად მიაყარა მორიგემ და თანაშემწეს დამცინავად რაღაც გადაულაპარაკა.

– სირცხვილი ჩვენი, ასე მხოლოდ ქართველები თუ მოვიქცევით! – ამოიგმინა ჩემს უკან მდგომმა გოგომ და გერმანელი გამცილებლის ნათქვამი, რატომღაც ხმამაღლა გადათარგმნა.

ქართველი მგზავრები სირცხვილს არ შეუწუხებია!

სიცილი ამივარდა, მერე აღშფოთების ჩრდილმა დამიბურა სახე. მინდოდა, მეყვირა, – ჩვენ უწესრიგოები არ ვიყავით, დრომ და სოციალურმა სიდუხჭირემ შეგვცვალა-მეთქი. მეტად უსუსური არგუმენტი იქნებოდა თავის მართლებისთვის, შინაგანი კულტურის და შეგნების დაკარგვა ყველანაირ სოციალურ პრობლემებზე საშიში და მძიმეა, მითუმეტეს, დიდი ცივილიზაციის მქონე ერებისთვის. ეს მგზავრები, ცოტათი მაინც, ხომ განსხვავდებოდნენ საქართველოს ქუჩებსა და ბაზრობების დახლებს შეხიზნული ადამიანებისგან, რომელთათვისაც ფიზიკურად გადარჩენის ინსტინქტი ყველაფერზე მაღლა დგას. (მერე, უცებ ისიც მომაგონდა: „რიგი და ქართველი? – საიდან – სადაო?!")

თბილისის აეროპორტში მშობლიურმა საბაჟომ თავად დაახვედრა ქართველებს უწესრიგობის კერა: ნაცნობობით, ურიგოდ გაყავდათ მგზავრები, იმის მიუხედავად, რომ ყველა ერთნაირად იყო დაღლილი ხუთსაათიანი მგზავრობით.

„საგანგებო დავალებებს ვასრულებთო" – ირონიით ცდილობდა უკმაყოფილო მგზავრების დაშოშმინებას დაცვის პოლიცია. (კორუფცია ალაგმდაო და...(?))

– რა მომარბენინებდა, თითქოს არ ვიცოდი, როგორ ქვეყანაში მოვდიოდი! ამ ხალხს რა გამოასწორებს!

– მართლაც! გერმანიაში უწესრიგობას ვერ ნახავ! – გაისმოდა აქეთ-იქიდან. ეს ის მგზავრები იყვნენ, გერმანიის აეროპორტში, ყირაზე გადავლით რომ მიისწრაფოდნენ თვითმფრინავისკენ...

* * *

ახალი წლის ფუსფუსშია თბილისი... ყაყანებს ჭუჭყით პირგამოტენილი ქალაქი და თავად ჰგავს დიდ სანაგვე ყუთს, სადაც ხელებს აფათურებენ ღირსებადაკარგული ადამიანები. თვითგადარჩენის, მოსწრების მექანიზმი იმდენად გააქტიურებულა, თუ ერთი ნაიბორძიკე, ისე გადაითელები, ვერავინ შეგამჩნევს, თითქოს უჩინარი იყო.

დიდი ხანია, გულწრფელი ღიმილი დაკარგეს ადამიანებმა... ამჯერად, ამაზრზენად გამეხებული და გულგრილი მეჩვენა მათი სახეები... და მივხვდი, ისინი ვერ გიტანენ, თუნდაც იმიტომ, რომ წესრიგისკენ მოუწოდებ, სამარშრუტო ტაქსის მძღოლს შეახსენებ, რომ საკმარისია მგზავრთა ამოყვანა მთლიანად გადატენილ კაბინაში, სადაც, არა მარტო სუნთქვა ჭირს, ვეღარაფერს ხედავ ირგვლივ და შეიძლება, გასცდი კიდეც შენთვის სასურველ გაჩერებას. „მარშუტკის" ჭერს ჩაფრენილი ადამიანები კი, მორჩილად გაყურსულან. მათი სხეულები, მათივე ჩანთებივით, ინერციით ეხეთქებიან კაბინის კედლებს და მსხდომარე მგზავრების ცხვირ-პირს. („განირწევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა...") მძღოლი, მშიერი ლომის ხახიდან ამოხრიალებული ხმით იძლევა პასუხს რამდენიმე მგზავრის უკმაყოფილო შენიშვნაზე:

– მაშ, რა ვქნა? ბენზინი გაძვირდა, დამატებით თუ არ ვიშოვე ორი კაპიკი, აბა, ტყუილად ვიმუშაო? ახალი წელი მოდის, რაღაც ხომ უნდა დამრჩეს!!!

ვერაფერს შეცვლი... ხმაგაკმენდილი უნდა იჯდე და არც კი დაიკვნესო, თუ რომელიმე ფეხზე მდგომი, მოტორტმანე მგზავრი დალურჯებამდე დაგაჭერს ფეხს. კმაყოფილიც უნდა იყო, რომ ზიხარ და ავტობუსად ქცეულ „მარშუტკის" კედლებს არ ეხეთქები.

მიკროავტობუსის მიკრო-სამყაროდან ჩამოსულს, მორიგი უწესრიგობის მაკროსამყარო ფართოდ გიღებს კარს. ხელაპივით მოლაპლაპე შავი „ჯიპიდან" „კოკა-კოლისა" თუ ლუდის ნახევრად სავსე ბოთლი გამოტყორცნეს, რომელიც იქვე, ტროტუარის კუთხეში, ბეღურასავით შეყუჟულ, სიცივით ხელებგაწითლებულ ბებოს და მის პურის ფულის შემომტან, მზესუმზირითა და მინის თხილით გაწყობილ ტაბლას სასწაულად აცდა...

სირენების უწყვეტი, გადამდები კაკაფონიის თანმხლები, საცობში გაჭედილი მძღოლების სამსართულიანი „ლოცვანი" ერთდროულად წამლავს ჰაერს და განწყობილებას. შუქნიშანი კი, თავისთვის აფახულებს „შეღებილ თვალებს", – მძღოლებიც და ფეხით მოსიარულენიც, ერთნაირად არღვევენ საგზაო მოძრაობის წესებს. თუ საფრთხილესა და სისწრაფეში მოიკოჭლებ, შეიძლება, ქუჩაზე ბოლო გადასვლა აღმოჩნდეს, რასაც მერე „უბედური შემთხვევა" დაერქმევა.

არაფერში არ გვიყვარს, ეს წესი და კანონი! პირველობის სურვილი და მისი ნებისმიერი გზით მიღწევა გვჩვევია. ნერვები კი, თურმე, აღარ შეგვრჩენია საიმისოდ, რომ ნადირთა ჯოგს არ დავემგვანოთ. ყოველ დროს თავისი პრობლემები მოჰქონდა. იყო ომები და სისხლისღვრები, მაგრამ ქვეყნის დამარცხება ბევრად იოლი მაშინ იყო, როცა ერის თვითშეგნება კნინდებოდა.

უცხოელებს ჩვენი პრობლემები სულაც არ უშლით ხელს, ჩვენთან თავი ისე იგრძნონ, როგორც თევზმა წყალში. არც სადარბაზოებთან ახორხლილი ნაგვის გორები აწუხებთ და ფუტკრებივით ეტანებიან აქაურობას. ქართული გულუხვობა და სტუმარზე გადაყოლა ვის არ მიიზიდავს?! ჩვენ მხოლოდ, ერთმანეთის გატანა და დანდობა არ ვიცით, მისხალს არ შევარჩენთ და ვაპატიებთ (მხოლოდ!) ერთმანეთს... (ოდითგან გვჩვეოდა!) ერთი რამ, რატომღაც არ გვახსოვს: შენი მკვდარი, შენვე რომ უნდა გააპატიოსნო, შენს ჭრილობებს შენვე უწამლო...

* * *

საახალწლო ფუსფუსია ქალაქში. ბაზარში ნემსი არ ჩავარდება, – იმდენი ხალხი ირევა, ვერ გაიგებ, ვინ მეტია, – მყიდველი თუ გამყიდველი... საქართველოში დღესასწაულზე პროდუქტებს სამმაგი ფასი აქვს, (უცხოეთში, რატომღაც, პირიქით ხდება.) მაგრამ ქართველი კაცი ნემსის ყუნწში გაძვრება და ახალი წლის (თუნდაც, იმ ერთ) ღამეს გულუხვად გაითენებს.

სანოვაგიანი ჩანთებით სახლებისკენ მიძუგძუგებენ ადამიანები ისე, როგორც იქ, შორეული გერმანიის აეროპორტში. ჯიბეში ძრომიალის „სპეციალისტებსაც" ხეირს აძლევს სადღესასწაულო ხალხმრავლობა და მოწყალებისთვის გამოფენილებსაც უფრო მეტი დატვირთვით ამოსდით ბაგეთაგან ღვთის სახელი. ისინი კი, ვინც ამ სამიდან, ვერცერთ კატეგორიას ვერ მორგებიან, კუშტი სახეებით, თვალისთვის „წყლის დასალევად" გამოსულან გარეთ.

ეს ადამიანები ვერაფერს გრძნობენ, თითქოს ვერავის ამჩნევენ ირგვლივ, ახალი წლის სიხარული უღიმღამო, გაცრეცილ მოვალეობად ქცეულა. ამ განწყობით ხვდება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ახალ წელს... მოდი და, ამ ხალხს ზნეობასა და წესრიგზე ელაპარაკე!..

მინდა, მთელი ხმით ვიყვირო: „რა დაგვემართა, ხალხნო, არსებობისთვის ბრძოლამ ნუთუ, ყოველგვარი ღირსება ჩაკლა ჩვენს სულში? ანდა, საერთოდ, თუ შეგვრჩა სული?!! მერე სიბრალული მებჯინება ყელში და საკუთარ თავს ვეკითხები:

„ვის უწყრები, ეს ხომ შენი ჯიშ-ჯილაგია, შენი სისხლი და ხორცი, შენი ხალხი, – დაბეჩავებული, ღირსება გათელილი, ჭაობში ყოფნას შეჩვეული, სამოვარს შეწირული შენი ქართველები! და შენ უსაზღვროდ გიყვარს ეს ქვეყანა!..

შინ მივიჩქარი, იქ, სადაც მშობლიური კერა მელოდება, სადაც ყოველთვის თბილა... ნატკენი სული მიშუშდება...

გზა იმაზე შორი მეჩვენება, ვიდრე გერმანიიდან საქართველომდე იყო. გზა შინისაკენ – ყველაზე მართალი გზაა ამქვეყნად.

ეს ჩემი გზაა!..

**ეკა ბაქრაძე**

2005 წლის დეკემბერი, თბილისი-ხაშური

# რეცენზია

## კლარა გელაშვილის ახალი კრებული

პოეტურ და პროზაულ კრებულებზე რეცენზიების წერისას, მუდამ თვალს ვადევნებდი, თუ რა შეიცვალა ავტორთა შემოქმედებით მანერაში, რაზე წერდნენ უწინ, ახლა რა თემები მწიფდება „მუზის ხურჯინში". აღვნიშნავდი მათი შემოქმედებითი თვალსაწიერის ზრდას.

შესანიშნავი მეუღლისა და დედის, ბებიის, მეცნიერისა და უპირველესად, პოეტი-შემოქმედის – კლარა გელაშვილის (რომელთანაც ლამის 20 წელი მაკავშირებს) ახალი კრებულის – „მანდილი ქარში" გადაკითხვისას გავიფიქრე, რომ იგი თავიდანვე იყო ლექსის მწიფეთავთუხიანი პოეტი, გაახრებულად, მაგრამ გულის სისხლით ნაკვები სტრიქონებით რომ წერდა... წერდა და წერს...

მდიდარია კლარა გელაშვილის ლექსი რითმით, მხატვრული ხერხებით და, რაც ასევე მნიშვნელოვანია პოეზიის მოყვარული მკითხველისათვის, სიცოცხლის დიდი სიყვარულით, სამშობლოს სიყვარულით.

ქალი ქალია, რა ასაკისაც უნდა იყოს, ამიტომ, კლარას მარადქალური პოეზია მანდილივით მიღელავს თავთუხისფერ ლექსის ყანაში:

„ვინ დაგტოვს დილეგში, ბევრსაც რომ ეცადო,
ლექსებით გიმტვრევენ ჩაკეტილ კარიბჭეს,
შენ რომ არ გახსენი, ვერაფრით ახსენი,
მუზათა მახვილით თვით შემოაბიჯეს!"

პირადულიდან გარღვევას ცდილობს პოეტი და საზოგადო ტკივილს თავის ქალურ ხმას უერთებს ლექსით. ლექსია კლარა გელაშვილის მყუდრო ნავსაყუდელი, შობილის მოფერება, მზის სხივებთან გათამაშება, ლექსია სიხარული და მწუხარება. ასე იბადება „გაზაფხული", „წვეთი", „ფიქრი", „ჩემი საუნჯე"... ულამაზეს წვეთებად ეპკურება რვეულის ფურცელს განცდა:

„წვეთი ვარ და, შენ რომ გეძინა, –
უჩუმრად დავეცი მინას.
თუ გამჩენს თხოვნა არ ეძვირა, –
ცოტა ხნით, სიცოცხლე მინდა!"

ბევრი აქვს მიძღვნა, ბევრს ეფერება პოეტი ქალი ლექსით. („ალმზრდელი", „რამეთუ მაღალ", „კაცი ხარ, რა იცი", „ზღვის ცრემლები", და სხვა). ტკივილის სხივებში სახოვანდება აფხაზეთი:

„ცხუმს, ახლა ალარას მღერიან გედები,
გადმოჰყვნენ მოქცევას ზღვისას...
ოდესმე აიხდენს იმ სიზმარს ყმაწვილი, –
პაპამ რომ ანდერძად მისცა..
აფხაზეთო, ჩემო, შენო..."

პოეტი ქალისთვის, თითქოს მძიმეა გულიდან ამოხეთქილი სტრიქონების „დედობა", მაგრამ ძვირფასია ეს ტვირთიც:

„მე გუშინ სიმშვიდე მაჩუქეს,
გზადაგზა ვარიგე მერე...
მე გუშინ ლექსები მაჩუქეს,
ლექსები შენზე და ჩემზე!
მე წუხელ მუზებით დამათვრეს, –
რამდენი ბადაგი შევსვი!.."

21-ე საუკუნის ზღურბლზე ახალი ოცნებებით გალობს პოეტი:

„ოცდამეერთევ, ბნელა ძალიან...
მიწას, მშობლიურს, ჰფინე ნათელი,
ფრთხილად, მტკივან გულს ნუ დააბიჯებ,
სული ამივსე თეთრი ფანტელით..."

პროზაშიც სცადა კალამი ქალბატონმა კლარამ, აქაც პოეზიის სურნელი დაჰკრავს მის ფრაზებს („სინათლე", „ამაყი ეთერი", „ვინ იცის", „გამეტებული იები", „შიში" და სხვა).

და ბოლოს, კლარა გელაშვილი შესანიშნავი პოეტი ქალია იმ პოეტთა შორის, რომლებიც ამშვენებენ ხაშურსა და მის რაიონს. კლარას „მუზების ხურჯინი" სავსეა ლექსებით.

ასე რომ... „პოეზიის ქარბუქია ხაშურში!"

**თამილა გოგოლაძე**

გსსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პროფესორი,
ფილოლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რედაქტორი ეკა ბაქრაძე